ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2521 პარასკევი, 11 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2521

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-
ბით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში
დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ქ. სიღნაღში,
გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ნომრები
ყოველ დღე იყიდება სერგო მიხეილის ძე
ამირაღლოვის მაღაზიაში.

1905 წ. კედლის 1905 წ.
ქართული კალენდარი

ვისაც სურს ჩვენი კალენდარი დაიკვეთოს მომავალ 1905 წლისათვის, გთხოვთ წინათვე შეგვატყობინონ ვინ რამდენს ისურვებს, რომ იმის კვალობაზე შევუდგეთ ბეჭდვას.

ვინც ამთავით დაიკვეთს და ბეს გამოგვიგზავნის, მათ ერთი შაურით ნაკლებ დაეთმობათ ეგზემპლიარი დაბეჭდვის შემდეგ მყიდველებთან შედარებით.

ვთხოვთ წერილები ამ წარწერით გამოგვიგზავნონ: Тифлисъ. Типографія Григорія Васильевича Чарквіани. (5—3)

ბუნების მეტყველების უმაღლეს კურსის
სტუდენტი, დახელოვნებული
რეპეტიტორი ეძებს გაკვეთილებს.
ბორჯომის ქუჩა № 10, სტუდენტი ქავთარაძე. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება საღამოს 5—7 საათამდე. (5—6.—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ ტ. მუღნინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.
ჰ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.
ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სამშობიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ლ. მ. მოინინი.—ქალისა, საზებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:
მ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან [illegible].

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ლოზის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ფირისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკოვისა. (20—20)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოთი 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეებით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ნთის ქუჩა, № 24 სახლი ფანჩაძისა.

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
ამის თვით მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში, სექტემბრიდან კი გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლებში № 12, „კრუჟოკის“ გვერდით. (5—2)

ქუთაისში
კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი
(აბოლინის შესახვევი, საკუთარი სახლი)
იღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბი-
(30—140—15)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ივნისი

პეტერბურგი. ვიცე-ადმირალის სკრიდლოვის დეპეშა მისს უდიდებულესობას, 8 ივნისს: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ დღეს, 8 ივნისს, ვლადივოსტოკში დაბრუნდა ნაღმიან გემთა რაზმი, რომელიც 2 ივნისს გაგზავნილ იქმნა იაპონიის ნაპირებისაკენ საექსპედიციოდ. რაზმს უფროსობდა დიდის მთავრის გენერალ-ადმირალის ადიუტანტი, მეორე რანგის კაპიტანი ვინოგრადსკი. ნაღმიანი გემები კუნძულს ხოკაიდოზე იეზაჩის ნავთსადგურთან მივიდნენ, მაგრამ ნისლის გამო შიგ ვერ შევიდნენ. ნაღმიანმა გემებმა გაანადგურეს რამდენიმე სამრეწველო და ტვირთის საზიდი ნავი; ერთი ვლადივოსტოკს მოიყვანეს. ქაღალდებისა და საქონლის გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ ნავების უმრავლესობა თევზსა და ბრინჯს ეზიდებოდა სასებოსა და სიმონესეკის ნავთსადგურებში.“

ბლაგოვეშჩენსკი. ნამესტნიკის განკარგულებით, ხაბაროვსკში შესდგა პრიამურის ოლქის მთავარი საკვები კომიტეტი, ხოლო ბლაგოვეშჩენსკში—საოლქო კომიტეტი ამურის ოლქისა. შესდგა აგრეთვე კომისია ზეისის ნავთსაყუდელში. ამ კომისიამ ცნობაში უნდა მოიყვანოს სურსათის რაოდენობა ოქროს მადნების რაიონში და გააწესრიგოს ამ რაიონში სურსათისა და საქონლის მიტანის საქმე. ოლქს სჭირდება სხვა-და-სხვა საქონელი 650,000 ფუთი. სამხედრო გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა, ნება დაერთოს ეს საქონელი რკინის გზით სრეტენსკში იქნას მოტანილი. საქონელი საჭიროების დაგვარად რამდენსამე კატეგორიად არის გაყოფილი. პირველ კატეგორიას ეკუთვნის შაქარი, ნავთი, სანთელი, საპონი, მარილი, ერბო, საბაკალეო, საკოლონიო და სააფთიაქო საქონელი; მეორეს: წუმწუმა, ფეხსაცმელი, ტყავეული, მატყლეული, მაუდი, რკინა, ქაღალდი, საკანცელარიო ნივთები, ზეთი და ტომრები; მესამეს: სამანუფაქტურო და საგალანტერეო საქონელი; მეოთხეს: საპირ-ფარეშო, სამუსიკო და საბეჭდავი საქონელი, თამბაქო, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და ავეჯი. საჭიროდ სცნეს პირველ ორ კატეგორიის საქონელი ბლაგოვეშჩენსკში იქნას მიტანილი ამურზე ნაოსნობის შეჩერებამდე.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. პოლკოვნიკი გედკე დეპეშით ატყობინებს „ბერლინერ ტაგებლატს:“ 2 ივნისს შუადღის შემდეგ გენერალმა შტაკელბერგმა ჩრდილოეთისაკენ დაიხია და ვაფანგოუდან 20 ვერსტის მანძილზე დადგა; 3 ივნისს ბრძოლა აღარ მომხდარა. მალე კიდევ მოხდება ბრძოლა.

„ლაფანის სააგენტო“ ირწმუნება, გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი გენ. შტაკელბერგის საშველად გაეშურაო.

ჩიფუდან დეპეშით ატყობინებენ „დეილი ექსპრეს“-ს: გენერალმა კუროპატკინმა 2 დივიზია გაგზავნა შტაკელბერგის საშველადაო. („რ. ლ.“).

„ჰავასის სააგენტო“ იუწყება: 31 მაისს ლიაოიანიდან 40 ათასი რუსის ჯარის-კაცი დაშიცაოსკენ წავიდაო. ამბობენ, ეს ჯარი გენ. შტაკელბერგის საშველად მიდისო.

ნიუ-ჩუანიდან დეპეშით ატყობინებენ „დეილი მეილ“-ს: გენ. კუროკის მოწინავე რაზმი დაშიცაოდან 15 მაილის მანძილზე რუსის ჯარს ებრძვისო. გენერალი კუროპატკინი ლიაოიანიდან წავიდა, რომ ამ ბრძოლაში თითონ გაუწიოს ხელმძღვანელობა რუსის ჯარსაო. („რ. ლ.“).

ლონდონში ამბავი მოვიდა, სიუანს ახლო რუსებსა და იაპონელებს დიდი ბრძოლა მოუხდათო.

ინგლისურ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, იაპონელებმა ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის დასავლეთ მხარეს ახალი ჯარი გადაიყვანეს, ეტყობა, იმ აზრით, რომ გენ. შტაკელბერგის კორპუსს გზა მოუჭრანო.

ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ „დეილი ქრონიკლ“-ს, იაპონელებმა მე-6 დივიზია ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის დასავლეთით გადაიყვანესო.

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება: ამ უკანასკნელ დღეებში იაპონელებმა 6 ათასი კაცი გაგზავნეს ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზეო. („ბ. ვ.“).

„დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი იუწყება: ჩიფუში ჩინელები მოვიდნენ და ამბავი მოიტანეს, იაპონელებმა ვაიპინგს (გაიჩჟოუს) ქვემოდ ახალი ჯარი გადაიყვანესო. („რ. ლ.“).

„კელნიშე ცაიტუნგ“-ის სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, გენ. შტაკელბერგი 5 ივნისამდე მოასწრობდა გაიპინგამდე (გაიჩჟოუმდე) მისვლას, რადგან ვაფანგოუდან გაიპინგამდე სულ 75 კილომეტრის მანძილიაო. დაჭრილებსაც რკინის გზით გაჰგზავნიდაო. („რ. ვ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ს. კ.—ც ეთანხმება ამ აზრს და ამტკიცებს, იაპონელები გზას ვერ მოუჭრიან გენ. შტაკელბერგსაო.

ფრანგული გაზ. „პატრი“-კი სხვა თვალით უყურებს საქმეს და ამტკიცებს, გენ. შტაკელბერგის კორპუსი დიდ განსაცდელშია ჩავარდნილიო. გაზეთი სწერს: გენ. შტაკელბერგი ვაფანგოუდან გაიპინგისაკენ მიდის, უკან იაპონიის ჯარი მისდევს, ამას გარდა, იაპონელები ქალ. სიუანიდანაც დასავლეთისაკენ გაემართნენ, გენ. შტაკელბერგს გზაზე დაუხვდებიან და ჩრდილოეთისაკენ რუსის ჯართან აღარ გაუშვებენ. იქნება იაპონელებმა გენ. კუროპატკინის ჯარსაც მუკდენის გზა მოუჭრან. გენ. კუროპატკინს ჯარის გამოკვება და შენახვაც საქმეს უჭირებს. რაც უფრო მეტი ჯარი ეყოლება, მით უფრო ძლიერ გაუჭირდება იმის შენახვა. ამიტომ ისა სჯობია, რუსის ჯარმა, რაც შეიძლება, მალე ლიაოიანიდან მუკდენისაკენ დაიხიოს. წინ, სამხრეთისაკენ გალაშქრება-კი დიდ განსაცდელში ჩააგდებს რუსის ჯარს. („რ. ლ.“).

„ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი ამბობს: ვაფანგოუსთან ბრძოლას კიდევ ბევრი ახალი ბრძოლა მოჰყვებაო. იაპონელებს უნდათ, ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულიდან რუსები მთლად განდევნონ. იაპონიის ჯარი ჯერ გენ. შტაკელბერგის კორპუსს მოიშორებს თავიდან და მერე პორტ-არტურზე მიიტანს მედგარ იერიშსაო. („რ. ლ.“).

„დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონელები პორტ-ადამსთან (პულანდიანთან) თავიანთ პოზიციებს ამაგრებენ, რომ რუსის ჯარი ხელ-ახლად არ წამოვიდეს პორტ-არტურის დასახსნელად. პორტ-ადამსთან მეტად მაგარი პოზიციები აქვთ არჩეული იაპონელებს; ზედ სამ რიგად ბატარეები გაამწკრივეს. ცინჩოუ და ნანშანიც გაამაგრეს. ეხლა პორტ-არტურზეც მალე მიიტანენ იერიშს. („რ. ლ.“).

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: იაპონიის ჯარმა პორტ-არტურთან რუსის მზვერავთა რაზმებს უკან დაახევინაო. („რ. ს.“).

ჩიფუდან ატყობინებენ „ტაიმს“-ს: აქ 4 ივნისს ჩინელებმა 16 ნავით პორტ-არტურიდანა და დალნიდან ათასამდე ევროპიელი მოიყვანეს. წარსულ კვირასაც 1,200 სული მოიყვანეს; იმათ შორის 400 რუსის ქალი იყო. მოსულები ამბობენ, იაპონელები პორტ-არტურიდან 8 მილის მანძილზე დგანანო. დალნში სიწყნარეა, პორტ-არტურის ჩრდილოეთით-კი ხშირად ისმის ზარბაზნის სროლაო. ჩინელები ამბობენ, პორტ-არტურთან 110 ათასამდე იაპონელი დგასო. („მ. ვ.“).

„დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: ადმირალ ტოგოს ესკადრის ნაღმიანმა გემებმა ორი რუსის სალდათი დაიჭირეს; ეს სალდათები ნავით პორტ-არტურიდან გამოსულიყვნენ ზღვაში და გენ. სტესელისაგან ბევრი მნიშვნელოვანი დეპეშა მიჰქონდათ გენ. კუროპატკინთანაო. („რ. ს.“).

„დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონელებმა გენზანშიაც ახალი ჯარი გადაიყვანესო. („რ. ლ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ს შეუტყვია, ჩინელები და კორეელები რუსის ფულს არ იღებენო. („ბ. ვ.“).

ბრძოლა ვაფანგოუსთან 1 და 2 ივნისს. რუსებსა და იაპონელებს სამი დიდი ბრძოლა მოუხდათ ხმელეთზე: პირველი მდ. იალუზე ტიურენჩენთან, მეორე ცინჩოუსთან და მესამე ვაფანგოუსთან. ეგაა ამ მესამე დიდ ბრძოლის თაობაზე გაზეთებში დღემდე საყურადღებო ცნობა არა დაბეჭდილა-რა. რაც დეპეშებიდან ვიცით, გაზეთების კორესპონდენტებიც თითქმის იმასვე იმეორებენ.

ვაფანგოუსთან 2 ივნისს მეტად დიდი სისხლი ღვრა ყოფილა. იაპონელებმა 4 ივნისს ვაფანგოუს ბრძოლის ველზე 1,516 მოკლული რუსი დაასაფლავეს. დამარხვას ჯერ არ მორჩენილან, კიდევ განაგრძობენ. ვაფანგოუდან რკინის გზით 3,500 დაჭრილი რუსი გაატარეს ხარბინისაკენ. („ნ. ო.“).

„რუს“-ის კორესპონდენტი იუწყება ლიაოიანიდან: სამხრეთიდან მოსულმა დაჭრილმა ყაზახის აფიცერმა ბაკულინმა გვიამბო, ბრძოლის დაწყების უმალ იაპონელებმა დემონსტრატიულად (მოსაჩვენებლად, მოსატყუებლად) რუსის მარჯვენა ფრთაზე მოიტანეს იერიში, ნამდვილად-კი მარჯვენა ფრთას მოაწვნენ, გვერდიდან მოუარეს და მთელ რუსის კორპუსს უკან დაახევინესო. ბრძოლის დაწყებისათანავე იაპონიის არტილერია მარტო რუსის არტილერიას ესროდა ყუმბარას და როცა რუსის არტილერია გაჩუმდა, მაშინ-კი ქვევითა ჯარს მიჰყო ხელიო.

ტოკიოდან იუწყებიან: იაპონიის სამხედრო ექსპერტები (მცოდნე კაცები) ამბობენ, ტელისსთან (ვაფანგოუსთან) რომ რუსებს გაემარჯვათ, მერე ცინჩოუსაც დაიჭერდნენო, მაგრამ ჩვენმა ჯარმა აჯობა და რუსები თავიანთ პოზიციებიდან განდევნაო. („რ. ს.“).

„კელნიშე ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: ვაფანგოუსთან გამარჯვებამ ძლიერ გაახარა იაპონელები. ტოკიოში დიდი მანიფესტაცია გამართეს. მანიფესტაციას დიდძალი ხალხი დაესწრო. ინგლისელი და ამერიკელიც ბევრი დაესწრო იაპონელების დღესასწაულს. („რ. ლ.“).

ახალი ამბავი

◆ წიგნის მაღაზიების, სტამბების და ბიბლიოთეკების ინსპექტორმა განუცხადა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას, რომ დღეიდან ტფილისის ბიბლიოთეკები „საზოგადოებისა“ უნდა დაემორჩილონ უფასო სახალხო ბიბლიოთეკების წესებს. ამ წესების ძალით ხსენებულ ბიბლიოთეკებს **არ შეუძლიათ იქონიონ ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები**. ბიბლიოთეკების ახალ წესზე მოსაწყობად ინსპექტორმა მისცა გამგეობას ორის თვის ვადა და თანაც ისიც განაცხადა, „საზოგადოებას“ შეუძლია იშუამდგომლოს საერო განათლების სამინისტროს წინაშე ქართული წიგნების და გაზეთების ნება დართვის შესახებ, ხოლო სამინის-

ტროში საქმის გადაწყვეტამდის ქართული წიგნები და გაზეთები მაინც გამორიცხულ უნდა იქნეს ბიბლიოთეკებიდანაო.

◆ **კავკაზ"-ში ვკითხულობთ:** სამხედრო კანონთა მე-XXIV წიგნის მე-45 მუხლის ძალით სამართალში მიცემულ იქნენ ოზურგეთის მაზრის გლეხები ნიკიფორე შავიშვილი, კოწია შავიშვილი და შალვა ჯინჭარაძე. საქმე უნდა განიხილოს, საომარ დროის კანონების მიხედვით, სამხედრო ოლქის სასამართლომ. მთავარ-მართებელმა ნება დართო, ეს საქმე სამხედრო ოლქის სასამართლომ, გენერალ-ლეიტენანტის მაკდონსკის თავმჯდომარეობით, განიხილოს 22 ივნისს ქუთაისში.

◆ ამიერ-კავკასიის **საეროზო თანხიდან** სამაზრო პოლიციის მოხელეთა სამგზავრო ფულად გადაიდო 70,800 მანეთი.

◆ **ციმბირის რკინის გზისთვის** ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან მოითხოვეს დროებით სამოცდა ათი მეისრე. მეისრეებს ამ ცოტა ხანში გაჰგზავნიან.

◆ კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტმა, მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის თავმჯდომარეობით, განიხილა საკითხი **მთიელთათვის შინა მრეწველობის** ნაწარმოებთა სახელოსნოსა და მუზეუმის გამართვის შესახებ. კომიტეტმა საბოლოვოდ ამ საქმის გარდაწყვეტა გადასდო, რადგან საჭიროდ სცნო ცნობების შეკრება და საკითხის ყოველი მხრივ განხილვა.

◆ კავკასიის სამხატვრო საზოგადოება ამ ზაფხულს აპირებს სურათების **მოძრავ გამოფენის** გამართვას. გამოფენა 15 ივლისიდან 1 სექტემბრამდე გაიმართება, ჯერ კისლოვოდსკში და შემდეგ სხვა ქალაქებში.

◆ ტფილისის **ვაჟთა პირველი გიმნაზია** წელს სამოცამდე მოსწავლემ დაასრულა. ქართველი თერთმეტია: ბახუტაშვილი ვიქტორ, ბერეჟანიშვილი პავლე, ვაჩნაძე კონსტანტინე, გაბაშვილი ვლადიმერ, ბაგრატიონ-დავითიშვილი ივანე, ჯაფარიძე ალექსანდრე, მახვილაძე გიორგი, ტატიშვილი დავით, ციციშვილი ვლადიმერ, ქიქოძე გიორგი და პარკაძე დავით.

◆ ტფილისის ვაჟთა **მეორე გიმნაზია** წელს დაასრულა 59 კაცმა, ხოლო ექსტერნად ეგზამენი დაიჭირა 8 კაცმა. ქართველი რვაა: კეზელი ტარიელ, ტატიშვილი მიხეილ, სურგულაძე ირაკლი, ნარაკიძე კონსტანტინე, მელვინეთ ხუცესიშვილი გიორგი, გვრიტიშვილი ნიკოლოოზ, ღვინიაშვილი დიმიტრი და მძინარაშვილი ესტატე. ამათგან ექსტერნებად ეგზამენი დაიჭირა და ატესტატი მიიღო ორმა ქართველმა—ბორის გვათუამ და **სიმონ** პარკაძემ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკვე მიიღო ქალაქის **ქუჩების მოსაკირწლავად** ოსმალეთიდან დაბარებულ ქვის ერთი ნაწილი.

◆ ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელი წელს დაასრულა 16 მოსწავლე ქალმა.

◆ 9 ივნისს, ვერის დაღმართზე, ოსიპოვის სახლში, ტფილისის მცხოვრებნი ივანე პეტრუხინი და აბრამ გოლოიანცი წაჩხუბებულან. ჩხუბის დროს პეტრუხინს მუცელში ჩაუკრავს დანა გოლოიანცისათვის, რომლის მორჩენა საეჭვოა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, ხოლო დამნაშავე დააპატიმრეს.

ქობულეთი. 8 ივნისს, ღამის 9 საათზე, № 159 მატარებლის გავლის შემდეგ, მე-76 ვერსზე, ხიდქვეშ ნახეს ამავე მატარებლის გულ-შემოყრილი კონდუქტორი ანდრია ნარეშოვიჩი, რომელიც ბათუმის საავადმყოფოში გაგზავნეს.

ეიბატი. 7 ივნისს მე-787 ვერსზე ნახეს გვამი უცნობ კაცისა.

რუსეთის ქრონიკა

◆ ეკატერინოსლავს, როგორც „რუს. ვედ."-ს სწერენ, დიდი სამრეწველო კრიზისი დაუდგა შორეულ აღმოსავლეთის ომის გამო. არ არის არც ერთი სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულება, რომელიც არ უჩიოდეს უფულობას და გაჭირვებას. რამდენიმე მდიდარი ვაჭარი უკვე შეუდგა თავისს საქმეების ლიკვიდაციას; უფრო ხელ მოკლე ვაჭრები თავიანთ თავს კოტრებად აცხადებენ. სრულიად შესწყდა ვაჭრობა წიგნის მაღაზიებში. საკაზმავმა სახელოსნოებმა ხელოსნები დაითხოვეს, რადგან სამუშაო აღარ არის.

◆ ადესის გრადონაჩალნიკმა, როგორც „გ. ო. გ." გადმოგვცემს, დაავალა ადესის პოლიცმეისტერს შეიმუშაოს საკითხი ტრაქტირების მოსამსახურეთათვის ანგარიშის წიგნაკების შემოღების შესახებ, ისეთის წიგნაკებისა, როგორიც ქარხნებსა და ფაბრიკებშია მუშათათვის.

◆ პეტერბურგში კერძო საანგარიშო კურსებია. ეხლა ამ კურსებთან არსდება უმაღლესი საკომერციო კურსები გერმანულ უმაღლესს საკომერციო კურსების ტიპისა. სწავლის ვადა ორი წელიწადი იქნება. წესდება ამ კურსებისა ფინანსთა მინისტრმა უკვე დაამტკიცა. კურსების გამგეობა დაევალა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს ა. გ. ტიმოფეევს.

პრესსა

მკითხველებმა იციან, რომ ამ დღეებში ჰელსინგფორსში მოჰკლეს ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი გენერალ-ადიუტანტი ბობრიკოვი. ყველა გაზეთები მწუხარებას აცხადებენ ამის გამო და ზიზღით იხსენიებენ მკვლელს, ამასთანავე ცდილობენ საზოგადოებას აუხსნან მიზეზები ამ მკვლელობისა და ფინლიანდიაში საქმეთა მდგომარეობა გამოარკვიონ. სხვათა შორის, „ნოვოე ვრემია" სწერს:

> ეჭვს გარეშეა, რომ ბობრიკოვის მოკვლა პოლიტიკური ბოროტ-მოქმედებაა. ის მოჰკლეს, როგორც ხელმწიფე იმპერატორის წარმომადგენელი ფინლიანდიაში, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც მედგრად იცავდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს ამ ჩვენს უახლოეს განაპირა ქვეყანაში. ეს გარემოება საკმაოდ ახასიათებს ამ საზიზღარ ბოროტ-მოქმედებას. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. როგორი დრო ამოირჩია მკვლელმა ფინლიანდიაში ხელმწიფე იმპერატორის წარმომადგენლის მოკვლისათვის?! ისეთი დრო, როცა სახელმწიფოს ყველაზე უფრო ეჭირვება შეკავშირებული მოქმედება, როცა იმპერიის ყველა ნაწილი თანხმობითა და ერთ-სულოვნებით უნდა გაუმკლავდეს ძლიერს გარეშე მტერს...
>
> ხუთ წელიწადზე მეტია, რაც ბობრიკოვი ფინლიანდიაში მოღვაწეობდა. მისს მოქმედებას თვალსაჩინო შედეგი მოჰყვა: რუსეთის პოლიტიკურმა პროგრამამ საგრძნობელი გამარჯვება მოიპოვა ფინლიანდიაში. ბობრიკოვის მოქმედებამ პოზიციები წაართვა იმ უკიდურესს სეპარატისტ ელემენტებს, რომელნიც ფინლიანდიის განთავისუფლებას ჰფიქრობენ. რაკი ამ ელემენტებს ნიადაგი დაეკარგათ და აშკარა ბრძოლით ვერაფერი გააწყვეს, ფარულ რევოლიუციონურ მოქმედებას მიჰმართეს. ჯერ პროპაგანდასა და აგიტაციას მიჰყვეს ხელი და ეხლა ტერრორსაც მიჰმართეს. ამ მოქმედებით ფინლიანდიის პატრიოტებმა ნიღაბი აიხადეს და ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთის მთავრობა სრულიად ამოფხვრის ფინლიანდიის რევოლიუციას.

ამ მოწინავე წერილის შემდეგ „ნოვ. ვრემია" ჰბეჭდავს იური ბელიაევის კორრესპონდენციას, რომლით საკმაოდ ხასიათდება, როგორც ამბობს გაზეთი, ფინლიანდიაში საქმეთა მდგომარეობაო. ბ-ნი ბელიაევი ერთის თვის წინად ჰელსინგფორსში ყოფილა გენ. ბობრიკოვთან და უსაუბრნია მასთან ფინლანდიის შესახებ. გენერალ-გუბერნატორს უთქვამს:

> ფინების უმრავლესობა შედარებით წყნარად არის ჯერ, მაგრამ შვედებმა გაგვიჭირვეს საქმე. მათი მოძრაობა ძლიერია. შვედომანების პარტია აღელვებს და აქეზებს ხალხს რუსების წინააღმდეგ; ამისათვის არავითარ საშუალებას არ ზოგავს. შვეციიდან მრავალის უმრავლესი პროკლამაცია ვრცელდება ფინლიანდიაში. რამდენადაც შეგვიძლია, ვებრძვით ამ აგიტაციას, მაგრამ რას იზამ: ნამდვილი ჰიდრაა,—ერთ თავს რომ მოსჭრი, მის ალაგს რამდენიმე თავი გამოებმება. ძველ-ფენომანთა პარტია სანდოზია, მაგრამ ახალი ფენომანები იგივე შვედომანებია და პოლიტიკურ ბრძოლის მომხრენი არიან... განსაკუთრებით ჰელსინგფორსი არ მაძლევს მოსვენებას არც დღე, არც ღამე. ვმუშაობ ალიონიდან იმ დრომდე, სანამ მთელი ქალაქი არ დაიძინებს. ოჰ, ეს ქალაქი! იგი ბუდეა ყოველგვარ უთანხმოებისა და მღელვარებისა...

შემდეგ კორრესპონდენტი შეეკითხა ბობრიკოვს. რა გავლენა აქვს ომის ამბებს ფინლიანდიელებზეო? გენერალ-გუბერნატორმ უპასუხა:

> უხარიანთ, როცა იაპონელთა გამარჯვების ა ბავი მოდის, და სწუხან, თუ ჩვენი გამარჯვე გაიგეს. ფინნები ისე არა, ამათგან თანაგრძნობი გამოცხადებაც იყო და შემოწირულებაც; ხოლ შვედები სულ სხვანაირად იქცევიან. მათ სცად ჩვენს წინააღმდეგ დემონსტრაციების მოხდენა, მ გრამ დროზე ზომების მიღებით დავაწყნარეთ. როგორც ჰხედავთ, ქუჩებში მშვიდობიანობა და სი წყნარეა. გესმისთ—„ქუჩებში", მაგრამ რა ჰხდება სახლებში, ვინ იცის: ჰელსინგფორსის სახლები სა მედონი არ არიან... რაღა ბევრი გავაგრძელო მძიმე დრო დაგვიდგა რუსებს. განაპირა ქვეყნებშ პოლიტიკა გართულდა და ჩვენი მდგომარეობა ძ გაძნელდა. განაპირა ქვეყნებს კიდევაც უნდა და ვუთმოთ და ამავე დროს დათმობაც საშიშია. ა სად არის სიძნელე.

ამ საუბრის შემდეგ ბ-ნი ბელიაევი წასუ ლა ჰელსინგფორსიდან და ფინლიანდია მოუ ვლია. მოგზაურობას სრულიად დაურწმუნე ბია კორრესპონდენტი, რომ ბობრიკოვ სიტყვები საქმის გაზვიადება არ ყოფილაო ვიყავიო, მოგვითხრობს ბ-ნი ბელიაევი:

> ხანგეს, აბოს, ნიკოლაიშტადს, ტამერფორს დ ფინლიანდიის სხვა ქალაქებში და ყველგან ჩვე თვის სამწუხარო ამბები დამხვდა... აბოში მცხო რებ რუსებმა მითხრეს: „შვედები აღელვებ ხალხს და პოლიტიკურ თათბირისათვის კრებებ ახდენენო; კლუბებსა და რესტორანებში მხოლოდ პოლიტიკაზეა სჯა-ბაასიო; ფინნები მძიმე ხალხი და თავდა-პირველად აგიტატორებს არ უჯერებდ მაგრამ ეხლა ისიც აჰყვა მოძრაობას, ასე რომ ა ქამად აქ ყველანი ჩვენ წინააღმდეგ არიანო". ნი კოლაიშტადში რუსთა წინააღმდეგი მოძრაობა კი დევ უფრო ძლიერია; იქაურმა რუსებმა მიამბე „შვედები იმედოვნებენ, რომ რუსეთი სრულია დამარცხდება. თვითონაც ინგლისის იმედი აქვთ; ე თის სიტყვით, აქ ბრძოლა კიდევაც დაიწყო, ჯერ ჯერობით უიარაღოო". ასეა ყველგან, სადაც-კი ვიყავი; ყველა მხრიდან სამწუხარო ამბები ჰხდებ მაშინ მივხვდი, რას ნიშნავდა ბობრიკოვის სიტყვე —ძნელი დრო დაგვიდგაო: იგი იყო სასოწარკვეთი ლებისაგან დატანჯულ გულის კვნესა.

ბ-ნ სტაროსელსკის წერილის საპასუხოდ *)

თუმცა ჩემმა შენიშვნამ (იხილე „ცნ. ფურც. № 2415) სავსებით ვერ დააკმაყოფილა ზოგ ერთნი, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, რომ ჯერობით ჩემს გარდა აგერ ორმა სამმა სთქვა თავისი აზრი ამ ჩვენთვის დიდად საყურ დღებო საკითხის შესახებ. თუ რა დიდ-მნიშვნ ლოვანია აღძრული საკითხი ჩვენ მომავალ მ ვენახეობისათვის და, მაშასადამე, მთელ ქუთაისი გუბერნიის სავენახე რაიონების ეკონომიურ მდგ მარეობისთვის, დაუკვირდით, რა ხდება წელ თითქმის უმეტესი ნაწილი მემამულეებისა გლეხებისა ეჭვის თვალით უყურებს საძირე ვაზ

---

*) იხ. „ცნ. ფურც". № 2434

ფელეტონი

იაპონია და იაპონელნი

XIII *)

იაპონური სახლი.—ქალისა და კაცის ტანისამოსი.—უცნაური სურათები.—ზოგიერთი ზნე-ჩვეულება.

იაპონელთა ცხოვრება, ზნე და ხასიათი დიდად განსხვავდება ყველა სხვა ხალხისა და ერის ცხოვრებისაგან. ხანგრძლივმა განკერძოებამ და ადგილობრივმა ბუნებამ ისეთი ბეჭედი დაასოამოამავალ მზის სახელმწიფოს, რომ იაპონიისა და სხვა ერის ზნე-ხასიათსა და ყოფა-ცხოვრების შორის საერთო ძალიან ცოტაა.

უპირველესს ყოვლისა ახლად შესულის ყურადღებას იქცევს იაპონური სახლი. სხვაგან ვერსად შეჰხვდებით ისეთ სახლს, როგორიც იაპონიაში იციან. იაპონელის სადგომს ბევრი სახლად არცკი ჩასთვლის, იმდენად პატარა, სუმბუქი და ფარღალალა შენობაა. ჩვეულებრივად იაპონური სახლი ერთ ან ორ სართულიანია, ამასთან იგი არავითარ საძირკველზე არ არის დამყარებული. მიწაში ოთხი დიდი ბოძია ჩადგმული. ამ ბოძებზე დამაგრებულია ჭერი და იატაკი. ასე გასინჯეთ, იაპონურ სახლს ხშირად კედლებიც-კი არა აქვს. კედლის მაგივრად ერთიანი დარაბაა, რომელიც შეიძლება ერთს წუთში მოიხსნას და შეიკრას. ფიცრის კედლებს ერთის ან, ბევრი-ბევრი, ორის მხრიდან უკეთებენ. ჩვენებური კედლები არც შიგნით იციან ოთახების გასაყოფად. ამის ნაცვლად თხელი, შირმის მაგვარი, მოძრავი კედლებია. ყველა ამის წყალობით იაპონელს შეუძლიან დღეს ერთი ოთახი ჰქონდეს, ხვალ ორი, სამი და ოთხი, რამდენიც მოესურვება. საჭიროა მხოლოდ, ფირფიტა კედლები ან შირმები მისწიმოსწიოს. სახლს დარიბი იაპონელები ჩალითა ჰხურავენ, შეძლებულნი-კი თეთრ ან ნაცრის ფერ კრამიტით.

სისუფთავე იაპონელის სახლში სამაგალითოა. ამ შემთხვევაში ბევრით არაფრით გაირჩევა დარიბისა და მდიდრის სახლი. სუფთა და ფაქიზი ცხოვრება ერთნაირად უყვარს დარიბსაც და მდიდარსაც. იატაკი ყოველთვის ჭილოფებითაა დაგებული და შეუძლებელია ამ ჭილოფზე გაუხდელად გავლა. ფეხთ იაპონელნი კარებშივე იხდიან და წინდებიანნი ან ფეხშიშველა შედიან. სადარბაზო ოთახები ჩვეულებრივ სახლის უკანა მხარესაა, ბაღისკენ, ხოლო საჯალაბო—ქუჩისკენ. ფეჩს ან ბუხარს ვერც ერთ იაპონელის სახლში ვერ შეჰხვდებით. ცეცხლს აჩაღებენ დიდ ოთხ-კუთხიან ყუთებში. ასეთი ყუთი სავსეა ქვიშითა და ნაცრით, ზემოდ აწყობენ შეშას და უკიდებენ. ამ ყუთიდან საბოლე მილი ჭერში მიდის. დარიბ სახლებში საბოლე მილი არ იციან და ამიტომ ხშირად კვამლი დგება ოთახში. ამ ყუთებს გარდა იაპონელებმა გასათბობად მაყალიც იციან. საზოგადოდ, სითბოთი იაპონელები ვერ დაიკვეხებენ. სამხრეთ კუნძულებზე თბილი ჰავა ხელს უწყობს იაპონელებს და თბილი სახლი საჭირო არც-კია, მაგრამ ჩრდილოეთისკენ, სადაც ხშირად სუსხიანი ზამთარი იცის (მაგ. კუნძულ იეზოზე), ფირფიტა კედლები ვერ იცავს იაპონელს სიცივისაგან. სამაგიეროდ, აქ იაპონელი ადვილად ეჩვევა და იტანს სიცივეს.

ოთახის კედლებს იაპონელები ხშირად ამშვენებენ გძელ ვიწრო ქაღალდითა ან მატერიით. ასეთ ქაღალდსა ან მატერიაზე [illegible] სურათი, დაწერილია თქმულება რომელისამე ბრძენისა (უმთავრესად ჩინელისა) ან ლექსი პოეტისა. ავეჯი სრულებით არ იციან იაპონელებმა: არც სკამი, არც სტოლი. მორთულობა ნაკლებადაა, აქა-იქ აწყვია მხოლოდ ვაზები და ჩამოკიდებულია ნაირ-ნაირი ფარნები. რადგან ასეთი ფიცრის სახლი ძალიან საშიშოა ცეცხლისაგან, იაპონელები, საცხოვრებელ სახლს გარდა, ქვისაგან აკეთებენ საწყობებს ან საკუჭნაოებს, სადაც ინახავენ ძვირფას ნივთებს და, საზოგადოდ, ფასიან ქონებას.

რა თქმა უნდა, ამ ბოლო დროს დიდ ქალაქებში გაჩნდა ევროპიული სახლებიც, ქვითკირის უზარმაზარი შენობანი, ევროპიულად მოწყობილი, მაგრამ ასეთი სახლი იაპონიაში საშიშო და საზარალოა, რადგან, როგორც წინადაც გწერდით, მიწის ძვრა ძალიან ხშირად იცის იაპონიაში. ქვითკირის სახლი ხელად ინგრევა მიწის ძვრის დროს, ხის სუბუქ სახლს-კი ბევრს ვერაფერს აკლებს და თუ აკლებს, თვალსაჩინო ვნებას მაინც ვერ აყენებს მცხოვრებთ. ამას გარდა დაქცეულს სახლის ადგილას იაპონელს მორე დღესვე შეუძლიან ახალი სახლი გამოჭიმოს ან ძველი შეაკეთოს. სამაგიეროდ, დიდი შიში მოელის ხოლმე იაპონელთა სახლებს ცეცხლისაგან. ცეცხლი იაპონიის სოფლებსა და ქალაქებში ისევე ადვილად ჩნდება, როგორც რუსეთის დაბებსა და სოფლებში. ხშირად ბურბუშელასავით ეკიდება და ნახევარ ან ერთ საათში მიწასთან ასწორებს მთელ ქალაქებს ან სოფლებს. იაპონელები მედგრად ებრძვიან ამ უბედურებას და ეხლა ყველა ქალაქსა და თვალსაჩინო სოფელს მოეპოვება ცეცხლის საქრობ მოწყობილებანი.

იაპონელებს ძალიან უყვართ ბუნება, ამიტომ თითქმის ყველა სახლთან მოიპოვება პაწაწა ბაღი. „ნახავთ ამ ბაღში ყველაფერს: ხეივნებს, ოსტატურად გაკეთებულ წყალვარდნილებ გვირაბებს, არხებს, შადრევნებს, ხიდებს, ტბებ და სხვას. ყველა ეს იმდენად პატარაა, რომ უცხოელს ბავშვის სათამაშო ჰგონია. რაც უნდ ვიწროდ და დარიბად იყოს იაპონელი, ასე ბაღს შესვენებისა და შინ ყოფნის დროს მა მოაწყობს.

ტანისამოსიც ისეთივე მარტივი და უბრალ იცის იაპონელმა, როგორიც სახლი აქვს. მართ ლია, ევროპიელების გაცნობის შემდეგ, იაპონე ლებმა ტანისამოსიც გადაიღეს, მაგრამ უმრავ ლესობა სოფლად და ქალაქად ჯერ ისევ ძვე ლებურ ტანთსაცმელს ატარებს. ქალისა და კაცი უმთავრესი ჩასაცმელი კიმონო ანუ [illegible] გრძელი ხალათი, რომელიც თითქმის ფეხებამდე სწვდება. ხალათის სახელები მეტად განიერი აქვს ამასთან ისეა შეკერილი, რომ ჯიბის მაგიერობა სწევს. ამ ჯიბით იაპონელები ყველაფერს ატ რებენ და, სხვათა შორის, თხელ ქაღალდი ნაჭრებსაც, მთელ დასტას, რომელსაც ცხვირ სახოცისა და ხელსახოცის მაგიერ ხმარობენ. ი პონელი მოიწმენდს ცხვირს ასეთის ხელსახოცი და გადააგდებს. კიმონოს მდიდრები აბრეშუმისაგ იკერავენ, დარიბები—ქაღალდის მატერიისაგან კაცის კიმონო უფრო მუქის ფერისაა, ქალისა მხიარული. გლეხი, საზოგადოდ, მუშა კაცი, გვარ ხალათს დღესასწაულებში და სტუმ დროს იცვამს, ჩვეულებრივ-კი, მუშაობის დრ ნახევრად ტიტველია, მხოლოდ წელ ქვ იფარებს რამეს. წელზე ქამარს ირტყამენ, კაცე ვიწროს, ქალები განიერს. ქალის ქამარი მ ბანტად იკვრება და ტანთსაცმელის საუკეთეს სამკაულად ითვლება. წაღების ნაცვლად იაპონ ლები ხისა და ჩალის ფეხსაცმელს ატარებე ხის ფეხსაცმელი [illegible] ფიცარს წარმოადგენ

---

*) იხ. „ცნ. ფურც." №2503.

ღირსებას და გამძლეობას, უარჰყოფს დამყნილ ვაზის გაშენებას და გადაბრუნებულ მიწაზე რგავს ისევ ჩვენ ადგილობრივ ჯიშების რქას ან ძირეულს, რომელსაც მოკლე ხანში აუცილებლად დაღუპავს მთელის ფილოქსერასაგან. ამ მიზეზის გამო, თუმცა წელს ძლიერ გაიავდა როგორც სამყნობი მასალა, ისე ძირეული ნამყენი, მაგრამ მაინც ცოტაა და კერძო სანერგეებში მრავალი რჩება გაუყიდველი ძირეული ნამყენი.

ბ-ნი ჯაფარიძე სწერს, რომ რიპარია, რუპესტრისი და მათი გიბრიდები გამოსცადეს საქარის სანერგეშიო. მაგრამ ამ გამოცდის შედეგი (დაბეჭდილი, გამოცემული) მე მგონი, არსად არის და სულ ერთია, თუ გინდ არც გამოეცადოთ. მეორე, ქუთაისის გუბერნიაში თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე სხვა ნიადაგია და სხვა პირობები და მარტო საქარის სანერგის გამოცდილება არ არის საკმაო. მე არ შევუდგები არც ბ-ნ გუნცაძის და არც ბ-ნ ჯაფარიძის წერილების განხილვას, მით უფრო, რომ ამ წერილებში ჩემის აზრის საწინააღმდეგოს თითქმის ვერაფერსა ვპოვებ, მხოლოდ მოვახსენებ, რომ დრენაჟი, ე. ი. მიწის დაწრეტა, აუცილებლად საჭიროა, თუ კი მიწა ნესტიანია, და დავუმატებ, რომ დაუწრეტელ, ნესტიან მიწებზე განსაკუთრებით იღუპება რუპესტრის „დიულო“. სწორედ ამ საძირე ვაზის ჯიშს ძლიერ ეტოვება ფესვების სიდამპლე. მე ვეჭვობ, რომ თუ დამყნილი ვაზი შესაფერ ნიადაგზე იქმნა დარგული, გადაწიგნვამ დაასუსტოს იგი ან გაახმოს, მხოლოდ დედა ვაზს არ უნდა მოსცილდეს გადაწიგნული. ბრალს მდებენ, რად არ დავასახელე მაგალითები იმისა, თუ სად გახმა დამყნილი ვაზები და ან დასუსტდაო. მაგრამ მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს გარემოება ყველამ იცოდა, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელ წლებში, რამდენადაც მახსოვს, წერილები იყო „ცნობის ფურცელ“-სა და „ჩერნ. ვესტნ.-“ში თვით ვენახის პატრონებისა, რომელთაც დამყნილი ვაზი გახმობოდათ. ისინი სთხოვდნენ გამოცდილ კაცთ, აეხსნათ რაა ამის მიზეზი.

მე არ მითქვამს პირველ შენიშვნაში და არც ეხლა ვიტყვი, რომ ვისმეს სრულიად გახმობოდეს დამყნილი ვენახი, რომ ერთი ძირი აღარ დარჩენილიყოს შიგა, მაგრამ მე მაინც გაბედულად ვრაცხ თავს დავაკმაყოფილო ბ-ნი სტაროსელსკი და მოვახსენო რამდენიმე მაგალითი იმისა, რომ უმეტესი ნაწილი ნამყენ ვაზებისა გახმა და რაც დარჩა, ისიც სუსტია. სოფ. დიმში (ქუთ. მაზრა): დიმიტრი გურგენიძის ვენახი, ეფრემ ნიშნიანიძის, ივანე წითაძის, მაქსიმე წითაძის, ალფეზა სვანიძის, მერაბა მაღლაკელიძის; „კლდო-ქდურულში“, სადაც მე თვითონ ვარ მევენახედ; ხონში—თავ. გიგო წულუკიძის ვენახი. ს. ნოსირში—გიორგი თოფურიძისა, ძველ-სენაკში—საცდელი ვენახი; ოკრიბაში—არჩილ მხეიძის ვენახი. მე თვითონ დავათვალიერე რამდენიმე ამოთხრილი დამყნილი ვაზი და ეჭვი არ არის, რომ იმათი გახმობა ცუდ ადაპტაციის ბრალია, რადგან ფილოქსერასა არაფერი ეტყობოდა და შეხორცებული კი საუცხოვოდ იყო. კიდევ გავიმეორებ და თამამადაც ვიტყვი, რომ ადაპტაციას ვენახების აღორძინების დროს ამერიკულ ვაზის საშუალებით არა ნაკლები გავლენა აქვს ვაზის ხანგრძლივობაზე, ვიდრე ფილოქსერასთან წინააღმდეგობას; ამას ჯერჯერობით მცირედი ყურადღება აქვს მიქცეული. სჩანს, ყველა შიშობს წარმოსთქვას ნათლად ვენახების აღორძინების ცუდი მხარე, და ის კი ვერ წარმოუდგენიათ, თუ რა მოჰყვება ამ უთქმელობას.

ბ-ნ სტაროსელსკის ვერავინ ბრალს ვერ დასდებს და ვერ უსაყვედურებს, რატომ თვალ-ყურს არ ადევნებთ ყველა აღორძინებულ ვენახსაო; მაგრამ, ჩემის აზრით, ყოველ მხრიდან-კი უნდა მოსდიოდეს ცნობები იმ ფაქტების შესახებ, რომელსაც შეუძლიან შეაფერხოს ის საქმე, რომლითაც ბ-ნ სტაროსელსკი, მე მგონი, ყველაზე მეტად დაინტერესებულია, როგორც მოთავე ამ საქმისა. მაგრამ ეხლანდელი მდგომარეობა მართლაც არ უწყობს ხელს ბ-ნ სტაროსელსკის თავის თავის დროზე მიიღოს ქუთაისის გუბერნიის ყველა კუთხიდან ყოველ გვარი ცნობები დამყნილ ვაზების შესახებ, რადგან არა ჰყავს საკმარისად არც ინსტრუქტორები, არც სოფლად მოსიარულე მებაღეები და არც ფილოქსერის კომიტეტის ექსპერტები. ამათი მოქმედება ხალხსაც დიდ სარგებლობას მოუტანდა და ბ-ნ სტაროსელსკისაც გაუადვილებდა ყოველ გვარ ცნობების შეტყობას.

რადგან ჩემი პირველი შენიშვნა დამყარებული იყო ბ-ნ ლედიუკის ცნობებზე და სიტყვები „არავითარი ყურადღება არა ყოფილა მიქცეული ადაფტაციაზე“ და სხვა არის ბ-ნ ლედიუკისა და არა ჩემი, უმორჩილესად ვთხოვ ბ-ნ სტაროსელსკის, მისდა წერილის საპასუხოდ, იხილოს: „Вѣст. Винодѣлія“ №-3, Къ вопросу о возстановленіи виноградниковъ въ „Кутаисской Губерніи“ В. Ледюка.

დ. გ. მდივანი

სასამართლო

მამასახლისის მოკვლა

გუშინ ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საპელაციო საჩივარი სიღნაღის მაზრის სოფელ ყანდაურის გლეხებისა ალექსი ბიჩაშვილისა და მიხეილ ჯავახიშვილისა, რომელთაც ყანდაურის მამასახლისის ივანე ჯავახიშვილის თავს დასხმა და გაძარცვა ჰბრალდებოდათ. როგორც საბრალმდებლო ოქმიდანა სჩანს, 1902 წელს, 14 დეკემბერს, მარტყოფის მცხოვრები ზაქარია მამაშვილი ურმით მიდიოდა ტფილისიდან შიბლიანში. ყანდაურის მახლობლად შემოღამებია. აქ ერთს ვენახთან უნახავს უპატრონოდ შეკაზმული ცხენი. რადგან ძახილზე ხმა არავის გაუცია, ცხენი წაუყვანია, როდესაც აგულაშვილის დუქანში მისულა, სოფელში უცნობებია ცხენის ამბავი. ცხენი მამასახლისის ჯავახიშვილისა გამოდგა. თვით მამასახლისის გვამი შიბლიანის გზაზე უნახავთ. მამასახლისს ტყვიით ჰქონდა გული განგმირული. მკვლელს წაეღო ვერცხლის ქამარი, ფული და ნივთები. ეჭვი მიუტანიათ ბრალდებულებზე და დაუპატიმრებიათ კიდეც. ეს საქმე სიღნაღში განუხილავს ოლქის სასამართლოს სესიას, დამნაშავედ უცვნია ალექსი ბიჩაშვილი და მიხეილ ჯავახიშვილი და გადაუწყვეტია მათთვის ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში 10 წლით გაგზავნა, ამასთანავე სასამართლოს სამოქალაქო მოსარჩელის ქვრივის მართა ჯავახიშვილის სასარგებლოდ გადაუწყვეტია გადახდეთ ბრალდებულთ ერთ ხანად 170 მან. და ყოველ თვე 10 მან., ვიდრე იგი გათხოვდება და იცოცხლებს. პალატამ უცვლელად დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

წერილები

თელავი. თელავმა, როგორც იყო, გაათავა ბავშვების გამოცდა: დედათა წმ. ნინოს სასწავლებელში 30 მაისს, სამოქალაქო სასწავლებელში 1 ივნისს. დედათა სასწავლებელში 28 შეასრულა სწავლა. უმრავლესობა ადგილობრივ მოქალაქეთა ქალიშვილები არიან. სოფლის ელემენტი თანდათან კლებულობს. ეს სასწავლებელი, დაარსებული ღარიბ და ხელ-მოკლე მშობლების შვილებისათვის, საკვირველის სისწრაფით გაურბის თავის პირვანდელ დანიშნულებას. დედათა სასწავლებელში გადიხადეს სამადლობელი პარაკლისი. შემდეგ იყო კითხვა ლექსებისა, სიმღერა და როიალზე დაკვრა. ლექსებს კითხულობდნენ და მღეროდნენ რუსულად, ქართულად და სომხურად მომეტებულად მოსამზადებელ და პირველ კლასის მოსწავლენი. მშვენივრად წაიკითხეს ქართულად გამყრელიძემ და მათიკაშვილმა. განსაკუთრებით აღტაცებას და ტაშს იწვევდა კითხვა და სიმღერა ადგილობრივ ენებზე. დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ირაკლის დარბაზი სავსე იყო ხალხით. სამოქალაქო სასწავლებელშიაც ყველა ასე მოხდა, როგორც დედათა სასწავლებელში, სწავლა ჯერ არ გათავებულა სამრევლო-საეკლესიო პირველ დაწყებით სკოლაში.

რაკი სასწავლებელი დაიხურა, ახლა შეუდგებიან ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვას. სასწავლებელში თუ ამ მხრივ ნაკლები ყურადღებაა მიქცეული, ქალაქის თვითმართველობა გამოიჩენს მზრუნველობას. აღარც კია საჭირო მეტი მზრუნველობა: უსუფთაობა და მტვერი სანატრელი კი არ არის თელავის ბაღში, ყველა ეს მრავალზედ-მრავალია და საკმარისადაც გაუმაგრებს ფილტვებს როგორც მოზარდ და ნორჩ, ისე გაზრდილს და ნაწრთობ თაობას. ამასთან ღამე დიდი სინათლე თვალებს არ დაუზიანებს, აქა-იქ ბნელი კუთხეები ბაღისა ბევრს კარგ ქცევას ასწავლის, თანაც თვალებს შეაჩვევს სიბნელეში მხედველობას. მოგეხსენებათ, ყველაფერი ვარჯიშობით შეიძინება. ტალახით სხვაგან სახლებს აშენებენო, ნეტავი იყოს ვინმე, იყიდოს თელავის ქუჩების ტალახი. თუმცა ქალაქის მამები ძნელად შეელევიან ტალახს, მაგრამ ფულს რა არ შეუძლიან? ეგება ფულის გულისათვის დასთმონ წლითი-წლობით ქუჩებში მოგროვებული ტალახი და უსუფთაობა. მთელი მაწანწარა, შეიძლება, ტალახქვეშ მოჰყვეს. ამისთანა იშვიათ გეოლოგიურ მოვლენას რომ შევესწროთ, საქვეყნოდ გაითქმება თელავის მზრუნველთა სახელი. ეს კარგად იციან იმათ და შესაფერადაც იქცევიან. საკვირველად უმადურია ზოგი ერთი: გაიძახიან, თელავს ეს აკლია, ის არა აქვსო. იმას აღარ ჰფიქრობენ: ჯერ ერთი, დავიწყებული აქვთ, რომ თელავს ბევრი რამ მეტი აქვს, ვიდრე ესაჭიროება, მაგ. წყაროები და ქვაქვიშა. მართალია, წყაროები მოუწყობლობით სახლებს ანესტიანებს და ციებ-ცხელების მიზეზად ხდება, ეს იმიტომ რომ არავითარ შემოსავალს არ იძლევა; მართალია, ქვასა და ქვიშით შეიძლებოდა თელავის ქუჩებს მოწყობა, მაგრამ აქაც უშლის ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ მიტანა უნდა; მეორე, რომ თელავის შემოსავალი კი არ იზრდება, ხარჯი მატულობს. სხვაგან შემოსავლის გასაძლიერებლად ქალაქის მიწების მოწესრიგებაზე ზრუნავენ, აქ კი ამისთანა ზრუნვა მრავალ უსიამოვნებას გამოიწვევს, რადგან ძალიან ბევრს უძევს თითი თაფლში და დიდის ხნობით არის შეჩვეული იმის ლოკვას. ჩემის აზრით, თელავის მამები სავსებით ასრულებენ წინაპართა ნაანდერძევს—„შინ რომ ყმაწვილებს გიშიოდეს, გარედ ტაბლას რა ხელი აქვსო“, ნათლიავ, ჩემი შენსას მირჩევნია და სხვისას შენიო“. ჩაიხედეთ თელავის ქალაქის სახლში და ისე გაეცით სამდურავი! თქვე კურთხეულნო, ხომ ხედავთ, რაც შემოსდის ქალაქს, თვითონაც არა ჰყოფნით და რით გააკეთონ, რაც არის გასაკეთებელი?

ნადიკვრელი.

ს. მლეთი (მთიულეთი). ვის არ გაუგონია „ლომისობის დღესასწაული“. ამ დღესასწაულს უქმობენ სულიწმინდის მოფენის მესამე დღეს. ეს სალოცავი არის საქართველოს სამხედრო გზაზე, მლეთის სადგურის მახლობლად. მაღალ მთაზე აშენებულია ეკლესია წმ. გიორგის სახელობაზედ, როგორც ხალხური გარდმოცემა გარდმოგვცემს, ვახტანგ გორგასლანის მეფობის დროს. მთის ხალხი, ქსნისა და არაგვის ხეობაში მცხოვრებნი და საქართველოს სხვა კუთხიდან მოსულნი, დიდის მოწიწებით სცემენ ამ სიძველეს თაყვანსა. ამ ეკლესიის კარებზედ ეხლაც არის ხუცური წარწერა, რომელიც სიძველისა გამო ძნელი ამოსაკითხია. თვით ეკლესიაში არის ერთი დიდი რკინის ჯაჭვი, სიმძიმით ორ ფუთზე მეტი, ყველა მლოცველი მოვალედა სთვლის დაიკიდოს ყელზედ ეს ჯაჭვი და ისე სამჯერ შემოუაროს ეკლესიას გარშემო. ამ სალოცავს იმისთვის ეძახიან „ლომისას“, ვითომც ეკლესიასთან უცხოვრნია მთაში გამოჩენილ გულადს და შეუპოვარ კაცს რომელსაც სახელად „ლომ-კაცი“ ჰრქმევია, ისე უმოქმედნია ამ კაცის მამაცობას და სახელს ხალხზედ, რომ წმ. გიორგის სახელზედ აშენებულ ეკლესიისთვის დაურქმევიათ „ლომის ხატი“ ე. ი. ლომისობა. ამ ჟამად ძველი ეკლესია გაუქმებულია და ყველა ძველებური სამკაული გადმოტანილია ქვევით, გზის ახლოს, ეკლესიაში, სადაც ეხლა იმართება დღესასწაული. არ ივიწყებს მაღლა იმ სიძველეს მთის ხალხი და დღესასწაულის დროს, რაც უნდა ცუდი ამინდი იყვეს, ათევს ღამეს და მხოლოდ მეორე დღეს ბრუნდება სახლში. წელს შემთხვევა მოგვეცა დავსწრებოდით ამ დღესასწაულს. აქაც, როგორც ყველგან სხვაგან, უფრო დროებას ატარებენ. ხშირად ჩხუბიც ხდება. წესიერების დამცველნი, მამასახლისი და ჩაფრები გაშველების მაგიერ მათრახებით სცემენ ხოლმე ხალხს. აქეთ ძალიან ცივა. მოხუცნი ამბობენ, ამისთანა გაზაფხულის მომსწრენი არა ვართო. ხვნა დაგვიანდა. არ მოეპოვებათ საქონლის საკვები. გამუდმებული წვიმებია და მთაზედ-კი თოვლი მოდის.

ბ. ლ.

რომელსაც ქვემოდან, წინ და უკან, აკრული აქვს პატარა ფირფიტები. ამ ფიცრებს დგვედებით ფეხებზე იკრავენ. წინდები მოკლე იციან. ფეხსაცმელი ძალიან აუშნოვებს და სწორედ გავლას უშლის იაპონელს, ნამეტნავად ქალს. მიმავალი ქალი მუდამ ოდნავ წაკაკულია, რადგან ფეხებზე დიდ თითის საშუალებით აკრული ფიცარი ფეხის გადადგმას აძნელებს. ქუდის მაგიერად ქალაქის მცხოვრებნი ქოლგასა ხმარობენ, სოფლად-კი დიდი შლიაპები იციან, ბამბუკისაგან გაკეთებული, რომელიც უზარმაზარ ჯამსა ჰგავს. წვიმის დროს ღარიბი იაპონელები ჩალის წამოსასხამს იცვამენ, რომელიც ბანჯგვლიან ნაბადსა ჰგავს. ქალს ყოველთვის დააქვს თან ქოლგა და მარაო.

როგორც ზევითა ვსთქვით, ევროპული ტანისამოსი თან-და-თან ვრცელდება იაპონიაში. ევროპულ მუნდირებში არიან გამოწყობილნი, მაგალითად, ჯარის-კაცნი, მეზღვაურნი, პოლიცელნი, მოხელენი, ფოსტის მოხელენი. კარის კაცებს, პროფესორებს, მასწავლებლებს, ექიმებს, სტუდენტებს და სხვებს ევროპული ტანისამოსი აცვიათ. იაპონიაში ხშირად შეჰხვდება კაცი ისეთს, რომელსაც ნახევრად ევროპული და ნახევრად იაპონური ტანისამოსი აცვია. წარმოიდგინეთ ამ გვარი სურათი: ქუჩაში ტროტუარს ქვევით მიდის კაცი, რომელსაც თავზე ცილინდრი ჰხურავს, ხელებზე ძვირფასი ხელთათმანები აქვს, ფეხთ-კი ხის წაღები და ტანზე კიმონო აცვია, რომლის კალთებიც ქარისაგან იქით-აქეთ იშლება და ქვემოდან, მოკლე წინდებს ზემოდ, მოსჩანს ტიტველა ფეხები...

მოგზაურნი ერთხმად აქებენ იაპონელ ქალების ტანისამოსს და მორთულობას. აი, რასა სწერს, მაგალითად, ერნესტ ფონ ჰესსე-ვარტეგი: „იაპონელი მანდილოსნები არ ატარებენ შლიაპებით მთელ ჩიტებს, ფრინველთა ფრთებს და სხვა ამგვარ ბარბაროსულ მორთულობას. იაპონელი ქალები არ იხვრეტავენ ყურებს, რომ ძვირფასი საყურეები გაიკეთონ, არ იცვამენ ვიწრო ფეხსაცმელს ფეხების დასამტვრევად და ახლოც არ იკარებენ იმ ჯავშანს, რომელსაც კორსეტი ჰქვიან და რომლითაც ევროპიელი ქალი სულსა და გულს იხუთავს. იაპონელ ქალის ტანისამოსი სიმარტივით და მოხდენილობით ძველ ბერძენთა კლასიკურ ტანისამოსსა ჰგავს, მხოლოდ უფრო კოხტა და ლამაზია. ყველა, ვისაც-კი ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა იმ უთვალავ სახალხო დღესასწაულებში, რომელიც ტოკიოს იმართება ხოლმე, უთუოდ აღტაცებაში მოვიდოდა როგორც თვით იაპონელ ქალების სილამაზით და მიმზიდველობით, ისე იმათ ტანისამოსის მოხდენილობით“.

ფეხსაცმელს იაპონელები მარტო გარედ ხმარობენ. შეუძლებელია, რომ იაპონურად გამოწყობილი ქალი ან კაცი სახლში ფეხსაცმელით შევიდეს. თავიანთ ხის ფეხსაცმელს ყველანი გარედ, კარებთან იხდიან და სახლში, რბილ ჩილოფზე, მარტო წინდებით დადიან. ამიტომ ოთახში ყოველთვის სამაგალითო სისუფთავეა. იაპონელებს ხშირად სირცხვილად არ მიაჩნიათ ის, რისაგანაც ევროპაში კაცი გაწითლდება. ტიტველა კაცი ან ქალი, მაგალითად, იქ არავის ყურადღებას და ცნობის-მოყვარეობას არ მიიქცევს, და ხშირად იაპონელნი, განსაკუთრებით სოფლელნი, წვიმის დროს ტიტვლდებიან კიდეც.

ბ-ნი შრეიდერი, სხვათა-შორის, სწერს: „როდესაც ბაზრიდან ქალაქში დავბრუნდი, მოულოდნელად ცა მოიღრუბლა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ქუჩებში მთელი ტბები და მდინარეები გაჩნდა. გავიხედე იქით-აქეთ და საშინლად გავოცდი. რამწამს წვიმა დაიწყო, იმ წამსვე იაპონელებმა ტანისამოსი გაიძრეს, თითქოს საბანაოდ ემზადებიანო. შემდეგ ყველამ შეახვია რგვლად ტანისამოსი, იღლიის ქვეშ ამოიდო და ასე დედის შობილა არხეინად გაუდგა გზას. ასევე მოიქცნენ ისინი, ვინც რიკშებში (იაპონური ეტლია, რომელიც კაცს ხელით მიაქვს) ისხდნენ. სურათი მეტად სასაცილო იყო“.

სირცხვილად არ მიაჩნიათ იაპონელებს აგრეთვე ქალებისა და კაცების საერთო აბანოში სიარული. უკვე ვთქვით, რომ სისუფთავე ძალიან უყვართ იაპონელებს. შეუძლებელია, იაპონელმა დღეში ერთხელ მაინც არ იბანაოს და ტანზე წყალი არ გადაივლოს. ღარიბებსაც-კი საბანაოები შინა აქვთ მოწყობილი და ყოველ დილა მთელი ოჯახი რიგ-რიგად ბანაობს. ხშირად კაცი ამ ცერემონიას ქუჩიდანაცა ჰხედავს, მაგრამ ამომავალ მზის შვილნი იანუშმიაც არ აგდებენ. ეს რა არის: ოჯახის წევრნი ხშირად სტუმართან ერთადაც ბანაობენ. აბა ყური დაუგდეთ, რას მოგვითხრობს ზემო ხსენებული ნ. შრეიდერი, რომელიც იაპონიაში მოგზაურობდა და ერთ თვეზე მეტ ხანს უბრალო ხელოსნის (კალათების მწნელის) ოჯახში სცხოვრობდა იაპონელთა ზნე-ხასიათის გასაცნობად. ეს ოჯახი შესდგებოდა ცოლისა, გასათხოვარ ქალისა და ორის ბავშვისაგან.

„იაპონელებს,—სწერს შრეიდერი,—სისუფთავე უყვართ და სულ ხელ მოკლე ოჯახი უნდა იყოს, რომ ვანნა არ მოეპოვებოდეს. ჰქონდა აგრეთვე ვანნა ჩემ სახლის პატრონსაც. გაგონილი მქონდა, რომ სტუმართ-მოყვარეობის წესით, პირველად ვანნაში სტუმარმა უნდა იბანაოს, მაგრამ იმას კი არ მოველოდი, რაც ვნახე. როდესაც დილაზე გამომეღვიძა და ავდექი, ბიჭმა საბანაო ოთახში შემიყვანა. როგორც სტუმარს, მასპინძელმა მთხოვა, პირველი ჩავსულიყავ ცხელ წყალში და მებანავნა. მე უარს ვამბობდი, მცხვენოდა და ვწითლდებოდი, რადგან მთელი ოჯახი, ქალიან კაციანა, იქვე იყო საბანაოდ მომზადებული, ე. ი. ტანისამოს გახდილი. ბევრის თხოვნის შემდეგ, რადგან არ მინდოდა მასპინძლისთვის მეწყენინებინა, ბედს დავემორჩილე, გავიხადე ყველას თვალ წინ ტანისამოსი და ჩავედი ვანაში“... სტუმრის შემდეგ რიგ-რიგად უბანავნიათ ოჯახის წევრებსაც. ყველა ხუთ-ათ წუთს რჩებოდა თითქმის ცხელ წყალში.

ღარიბთათვის საზოგადო აბანოებია, სადაც ერთად დადიან კაცები, ქალები და ბავშვები. შესასვლელი ფასი რაღაც გროშებია. დერეფანში ყველანი იხდიან ტანისამოსს, აწყობენ კედელზე მიმაგრებულ ყუთებში და შედიან იმ ოთახში, სადაც საბანაო აუზია. აუზი საერთოა, მხოლოდ შუაზე თოკია გაბმული ან ბამბუკის ჯოხია გადებული,—ეს იმასა ნიშნავს, რომ ცალ მხარეს ქალებმა უნდა იბანაონ, მეორე მხარეს კაცებმაო. ვიმეორებთ, იაპონელს თავშიაც-კი არ გაუვლის ის აზრი, რომ ამ გვარი ბანაობა სამარცხვინოა, ან ქალი კაცს უნდა მოერიდოს ბანაობის დროს და კაცი კიდევ ქალს. ერთხელ პარიზში ნამყოფ იაპონელსა ჰკითხეს, ნუ თუ არა სცხვენიათ იაპონელებს, როდესაც ქალები და კაცები ასე ერთად ბანაობენო. იაპონელმა მიუგო: „პარიზში შუადღისას ისეთი სამარცხვინო რამეები ხდება, რასაც იაპონელი აქ შუაღამისას ვერ გაბედავსო“.

(შემდეგი იქნება)

ი. ა—ძე

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ივნისი.

კავკაზი. პოლკოვნიკის სკლიაროვის ცოლი ყაზახ-მოსამსახურეს არ მოუკლავს, არამედ მძიმედ დაუჭრია ცულით. სკლიაროვისა გონს მოვიდა.

ბიისკი. სარწმუნო წყაროებიდან მტკიცდება, რომ ალტაის მონგოლთა შორის დაწყებულს მოძრაობას პოლიტიკური ხასიათი არა აქვს.

ნიუ-იორკი. რუსეთის მთავარმა კონსულმა ლადიჟენსკიმ ნიუ იორკის ბირჟას გადასცა ხელმწიფე იმპერატორისაგან საჩუქარი—ბრინჯაოს მშვენიერი ვაზა, და თანაც რუსეთის ელჩის სახელით შემდეგი გამოუცხადა ბირჟას: რუსეთის ელჩი იმედოვნებს, რომ ვაჭრობა, სამრეწველო და საფინანსო ურთიერთობა რუსეთსა და ამერიკის შორის სასარგებლო იქნება ორსავე მეგობრულად განწყობილ ერისათვის. ბირჟას პრეზიდენტმა უპასუხა, შეერთებული შტატები არ ივიწყებენ, რომ ორავე ერს დიდის ხნის მეგობრობა აკავშირებსო. ხელმწიფე იმპერატორის საჩუქარი სამუდამოდ დარჩება იმ მადლობის სახსოვრად, რომელსაც ამერიკა რუსეთისადმი ჰგრძნობს კეთილ სამსახურისათვის, რომელიც რუსეთმა ამერიკას გაუწია მაშინ, როცა ეს სასურველი იყო.

10 ივნისი.

სოფია. („კორესპ. ბიურო„). აქაური პოლიტიკური წრები მეტ მნიშვნელობას აძლევენ თავ. ფერდინანდისა და სერბიის მეფის მეორე შეხვედრას, ვიდრე პირველს.—დღემდე პორტა ხელზე იხვევს ფორმალიზმს და ხელს უშლის, ბოლგარიის მთავრობამ უპროცენტო სესხის მიცემით შემწეობა აღმოუჩინოს დაბრუნებულ გახიზნულთ. ამისა და აგრეთვე იმის გამო, რომ პორტა არ ასრულებს იმ ვალდებულებებს, რომელიც ოსმალეთ-ბოლგარიის ხელშეკრულებით აკისრა, როგორც პოლიტიკურ წრეებსა, ისე პრესაში უკმაყოფილება ძლიერდება.

სტამბოლი. („კორ. ბიურო“). რუსეთისა, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩები განაგრძობენ პორტასთან მოლაპარაკებას მუშის სანჯაკში საქმის ვითარების შესახებ. პორტა დასთანხმდა, შემწეობა აღმოუჩინოს და ამნისტია მიანიჭოს დაზარალებულ გახიზნულ სომხებს. ამისდა მიუხედავად ელჩებს შემწეობა საკმარისად არ მიაჩნიათ. პორტა აცხადებს, რომ მუშის სანჯაკში აღდგენილ იქმნა სრული მშვიდობიანობაო, რასაც ელჩებიც ამოწმებენ. ელჩები მაინც იუწყებიან, რომ სომეხთა სოფლებში ჯერ კიდევ განაგრძობენ ძარცვა გლეჯასა და ხოცვასაო.

ტენდრას კანდელი. პრაქტიკული ესკადრა 2 ივნისს რეიდში მოვიდა.

სტამბოლი. („ვოლფის სააგენტო“). კემილ-ედინ-ფაშა ბრუსსაში გახიზნეს. იგი განსაკუთრებულ გემით წაიყვანეს.

ტანჟერი. ერთმა აქაურმა ფრანგულმა ფირმამ სულთანს 70,000 დოლარი ასესხა ყაჩაღის რაისულის მიერ ტყვედ წაყვანილ პერდიკარისა და ვარლეის გამოსასყიდად. მოელიან, რომ ტყვეებს 9 ივნისს გაანთავისუფლებენ.

ვენა. იმპერატორმა ჩინეთის ელჩს მარშალ შაქირ-ფაშას უბოძა ორდენი ლეოპოლდისა.

ბერლინი. ივლისსა და აგვისტოში სამხრეთ აფრიკას გაიგზავნება იქ მყოფ ჯარის მისაშველებლად 1,600 კაცი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 4 ივნისი

ვექსილის კურსი 13 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	—	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში	—	
ლონდონისაზე ჩეკები	—	
ბერლინისაზე „	—	
პარიზისაზე „	—	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	91¼	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	87¼	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	369	„
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	288	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	254	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	83¼	„
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	184	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუ-. დღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპანამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება

საბერძნეთის ძველი ისტორია,

პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათით და ორის რუკით. ფასი ერთი მან.

«გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩნასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
აკ. ყაზბეგის I, ტომი ღირს	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ენთხი	1	—.
რძე, მისივე	1	50

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. კანვერტზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, ბაქტერიოლოგიური განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გამვლელ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სოპრანის ახლოს. (წ.—176—38)

ბუხჰალტერიისა და საკონტორო ცოდნათა კურსები

ტფ. საკომერციო სასწავლებელთან

(მეხუთე წელიწადი)

კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას, საკომერციო არითმეტიკას, საკომერციო კორესპონდენციასა და სავაჭრო კანონმდებლობას.

სწავლა დაიწყება **1904 წ. 15 სექტემბრიდან.**

კურსები არა ნაკლებ 6 თვისა გაგრძელდება.

სწავლება საღამოობით, კვირაში საჯერ.

კურსებზე მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი ორისავე სქესისა.

სწავლის ფასი 40 მან. მთელს კურსში.

თხოვნებს საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზე იღებენ ყოველ დღე დილის 10-დან ნაშუადღევის 1-ლ საათამდე, სასწავლებლის კანცელარიაში. (5—1)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამ წლის 22 აპრილიდან დავნიშნე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებლო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—37) პატივისცემით ბ. გ. ბერიევ

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რიგის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა; გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები **ტელეფონი № 679.** (0—127)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

СПМ

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავალი არის

სამაჯრო სახლის

„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ლ ე რ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346 ერევნის მოედანი. (60—6.—48)

Доз. цензурою. 10 Іюня 1904 г.

ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ.—ისა.

Электропеч. Груз. Изд. То—тва.